განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

<u>თავმჯდომარე:</u>

შორენა ხუბუნაია, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი

<u>წევრი:</u>

თამარ ნასყიდაშვილი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი, 2019)

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **202949159**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი, 2019)

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 8 ივლისის N579 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა, შემადგენლობით - შორენა ხუბუნაია (ჯგუფის თავმჯდომარე), თამარ ნასყიდაშვილი (ჯგუფის წევრი) 2019 წლის 16 და 17 ივლისს განახორციელა ვიზიტი **სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში**. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა დაწესებულების შესაბამისობის შემოწმება ავტორიზაციის სტანდარტებთან. დაწესებულებამ წარმოადგინა ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამა - **ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი.**

ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია და შემუშავდა ვიზიტის დღის წესრიგი.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა შიდა მარეგულირებელი აქტები და გადამოწმდა დაწესებულების მიერ მათი შესრულების პრაქტიკა, რისთვისაც განხორციელდა ინტერვიუ პასუხისმგებელ პირებთან და გამოთხოვილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ინტერვიურება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან.

ზემოხსენებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სათანადოდ განხორციელების შესაძლებლობის დადგენის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რესურსები და განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის ობიექტზე.

დაწესებულებაში ექსპერტთა ბოლო ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 12-14 დეკემბერს. ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულებისთვის მიცემული რეკომენდაციებია:

„1. 1.1 ქვესტანდარტთან მიმართებით: ცალკეულ სასწავლო კურსებში ძირითადი ლიტერატურა მითითებულია რუსულ ენაზე. აუცილებელია ყველა სასწავლო კურსის ძირითადი ლიტერატურა უზრუნველყოფილი იქნას ქართულენოვანი ლიტერატურით ან ელექტრონული კონსპექტებით;

2. 2.9 ქვესტანდარტთან მიმართებით: სასურველია სტრატეგიული გეგმის შემუშავებამდე დაწესებულებამ შეიმუშავოს სტრატეგიული დაგეგმვის მეთდოლოგია, სამოქმედო გეგმა იყოს უფრო მკაფიო და განისაზღვროს პასუხისმგებელი პირები, სასურველია გაიწეროს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის მექანიზმები და გარკვეული პერიოდულობით ხდებოდეს სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზი“.

დაწესებულების წარმომადგენელთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ მათ გაითვალისწინეს ექსპერტთა რეკომენდაციები. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, მოდულებში ჩანაცვლდა ლიტერატურა და წარმოდგენილი იქნა შესაბამისი მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი, 2019)

დანართი 2

მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 18 მარტს N03-09 ბრძანებით დამტკიცდა **მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, მათში ცვლილებების შეტანის, დამტკიცებისა და გაზიარების მეთოდოლოგია. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი.** თუმცა დოკუმენტში არ არის მოცემული მონიტორინგის განხორციელების პერიოდულობა (იხ. 2.9 ქვესტანდარტის აღწერა).

მდგომარეობა (ახალი/ არსებული)	**სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა**	**საგაწმაწათლებლო პროგრამების რაოდენობა**	**საგაწმაწათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა**	**შენობა-ნაგებობების ფართი**	**მისამართების რაოდენობა და მდებარეობა** (ერთ მისამართზე/სხვადასხვა მისამართზე ერთ მუნიციპალიტეტში/ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში)
არსებული	21	1	12	835 კვ.მ.	ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.,49

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოცემული მაჩვენებლები შესაბამისობაშია ფაქტობრივ გარემოებებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი, 2019)

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☐	■
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	☐	■
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	☐
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	☐
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	☐
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	☐
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა,	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქ. თბილისი, 2019)

	რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.			
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☐	■
2.1	დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	☐
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	■	☐
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	☐
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	☐
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	☐
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	☐
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	☐
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	☐	■
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე,	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქ. თბილისი, 2019)

	რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;			
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	☐
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	☐
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	☐
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	☐

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი, 2019)

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

სტანდარტი 1 - საგანმანათლებლო პროგრამები

ქვესტანდარტი 1.1

1. ვინაიდან დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორის არჩევითი მოდულების საერთო მოცულობა (21%) აჭარბებს ამავე პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით დადგენილ ოდენობას - 20%-ს, დარღვეულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი;
2. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში - ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი ქართული ენის მოდულები არის 2016 წლის 7 მარტის რედაქციით, აღნიშნულ მოდულებში ბოლო ცვლილება განხორციელდა 2017 წლის 2 ნოემბერს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამაში არ არის განხორციელებული ცვლილებები. რის საფუძველზეც დარღვეულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების/ცვლილებების განხორციელების წესი.

სტანდარტი 2 - მატერიალური რესურსები

ქვესტანდარტი 2.7

1. ვინაიდან დაწესებულების ფუნქციონირების ტერიტორიაზე (შენობის მესამე სართულზე) ეტლით მოსარგებლე პირი ვერ მოახერხებს გადაადგილებას, კიბეებზე პანდუსების არარსებობის გამო, დაწესებულებას არ აქვს შშმ და სსსმ პირების გადაადგილებისათვის ადაპტირებული გარემო, რის შედეგადაც დარღვეულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2.7 ქვესტანდარტი

VI. რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი 1 - საგანმანათლებლო პროგრამები

ქვესტანდარტი 1.1

1. რეკომენდებულია დაწესებულებაში კონკრეტული საკითხი/პროცედურა განისაზღვროს ერთი მარეგულირებელი აქტით, ხოლო ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში, ყველა შიდა მარეგულირებელ აქტებში ერთიდაიგივე საკითხი ჩამოყალიბდეს ერთნაირი შინაარსით;
2. რეკომენდებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ მემორანდუმში მიეთითოს, კონკრეტულად რომელ მოდულ(ებ)ს განახორციელებს დაწესებულება პრაქტიკის ობიექტზე, რამდენ პროფესიულ სტუდენტს მიიღებს ობიექტი და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების სხვა პირობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი, 2019)

3. რეკომენდებულია დაწესებულებამ მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის გამოიყენოს სისტემის შესაბამისი ტერმინები კანონმდებლობის შესაბამისად, ნაცვლად ისეთი ტერმინებისა, როგორიცაა „შუალედური გამოცდა," „დასკვნით გამოცდა". (იხ. მოდულები: გაცნობითი პრაქტიკა - ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი; საწარმოო პრაქტიკა - ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი);

4. რეკომენდებულია დაწესებულებამ განახორციელოს მოდულის განმახორციელებელი პირების გადამზადების ღონისძიებები კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების განხორციელების მიმართულებით;

5. რეკომენდებულია დაწესებულებამ აწარმოოს პროფესიულ სტუდენტთა შეფასებების უწყისების რეგისტრაცია;

6. რეკომენდებულია დაწესებულებამ გაზარდოს თანამშრომლობის მიმართულებები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართულ პრაქტიკის ობიექტებთან და უზრუნველყოს ობიექტის წარმომადგენელთა ინფორმირება მოდულური სწავლების მიდგომებებთან მიმართებით.

ქვესტანდარტი 1.4

1. რეკომენდებულია დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები აწარმოოს საქართველოს კანონმდებლობისა და კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 18მარტის N03-08 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-2 მუხლის შესაბამისად.

2. რეკომენდებულია დაწესებულებამ არასრულწლოვანი პირების პირად საქმეებში განათავსოს მათი კანონიერი წარმომადგენლების პირადობისა და კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (დაბადების მოწმობა, მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტი და სხვა).

ქვესტანდარტი 1.5

1. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულების მიერ გაფორმებულ მემორანდუმში დაზუსტდეს თანამშრომლობის მიზანი და პროფესიულ სტუდენტთა მობილობის პროცედურები.

სტანდარტი - მატერიალური რესურსი

ქვესტანდარტი 2.5

1. რეკომენდებულია დაწესებულების დოკუმენტების სარეგისტრაციო ჟურნალები დაილუქოს საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი, 2019)

2. რეკომენდებულია სარეგისტრაციო ჟურნალში შესავსები ველების დასახელები შესაბამისობაში მოვიდეს იმ დოკუმენტების შინაართან, რომელთა რეგისტრაციისათვის არის განკუთვნილი მოცემული ჟურნალი;

3. რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს დოკუმენტების აღრიცხვის სანდოობა, რისთვისაც დოკუმენტების რეგისტრაციისას გამოიყენოს ნუმერაციის უწყვეტი სისტემა და არ გამოყოვოს ჩანაწერებს შორის ადგილი;

4. რეკომენდებულია დაწესეულებაში უფლებამოსილი პირის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი - ბრძანება გამოიცეს ერთ კონკრეტულ საკითხზე, ხოლო ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში, სრულად მიეთითოს ბრძანების გამოცემის საფუძველი.

ქვესტანდარტი 2.9

1. რეკომენდებულია დაწესებულების მიერ შემუშავებულ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და ანგარიშგების წესში დაზუსტდეს სტრატეგიული გეგმის გადახედვის პერიოდულობა.

სტანდარტი 3 - ადამიანური რესურსი

ქვესტანდარტი 3.1

1. რეკომენდებულია პერსონალის პირადი საქმეები მოიყვანოს შესაბამისობაში შიდა მარეგულირებელ აქტში არსებულ დებულებებში გაწერილ მოთხოვნებთან და მათში განათავსოს დასაქმებულ პირზე ყველა მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

2. რეკომენდებულია გარკვეული პერიოდულობით გადაიხედოს და განაახლოს პერსონალის პირადი საქმეები, კერძოდ განახლდეს მოქმედების ვადაგასული პირადობის მოწმობები, CV-ები, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები (არსებობის შემთხვევაში).

ქვესტანდარტი 3.3

1. რეკომენდებულია პერსონალის პირადი საქმეები მოიყვანოს შესაბამისობაში შიდა მარეგულირებელ აქტში მოცემული დებულებების მოთხოვნებთან და მათში განათავსოს ყველა მოთხოვნილი დოკუმენტაცია;

2. რეკომენდებულია დამუშავდეს პირადი საქმეები საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად, კერძოდ შესაბამის ჟურნალებში დარეგისტრირდეს პერსონალის განცხადებები, მათზე განთავსდეს უფლებამოსილი პირის რეზოლუციები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი, 2019)

VII. დაწესებულების მისია

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის, როგორც ჩვენი ქვეყნის ერთადერთი სასპორტო მიმართულების პროფესიული დაწესებულების მისიაა, საეთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ჯანსაღი ცხოვრების წესისა და მასობრივი სპორტის დანერგვა/ განვითარებას და შრომის ბაზარზე არსებული დეფიციტისა და მოთხოვნების უზრუნველყოფას.

დასახული მისიის მისაღწევად კოლეჯი უზრუნველყოფს:

1. თითოეული სტუდენტის განათლების, მომზადებისა და განვითარებისთვის აუცილებელ პირობებს.
2. სწავლებისა და სპორტული პროცესების ურთიერთშერწყმასა და სპორტული და მასთან დაკავშირებული დარგების საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურად წარმართვას
3. შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადებას. მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლას, რაც პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების შეთავაზებით ხორციელდება;
4. კოლეჯი უზრუნველყოფს თანამშრომლობას პარტნიორ ორგანიზაციებთან, სპორტულ ფედერაციებთან და კლუბებთან.
5. პედაგოგებისა და პერსონალის მუდმივ განვითარებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.
6. სპორტის კოლეჯი, თავისი საქმიანობით, მიზანმიმართულად ახორციელებს მასობრივი სპორტისა და ჯანმრთელი ცხოვრების წესის პროპაგანდას და მეტი ადამიანის ჩართულობას ამ სფეროში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი, 2019)

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში (შემდგომში „დაწესებულება“, „კოლეჯი“) საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე პასუხისმგებელი პირი არის სამეთვალყურეო საბჭო, რაც განსაზღვრულია დაწესებულების სამეთვალყურეო საბჭოს 2018 წლის 2 ოქტომბრის №04 სხდომის ოქმით დამტკიცებული **შინაგანაწესის** მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტით.

დაწესებულებაში ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების შედგენის წესი მოცემულია დაწესებულების შიდა მარეგულირებელ <u>ორ სხვადასხვა დოკუმენტში</u>, კერძოდ: კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 18 მარტის №03-08 ბრძანებით დამტკიცებული **სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის** მე-11 მუხლის მიხედვით: მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას შეიმუშავებს ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი და სასწავლო დარგში დირექტორის მოადგილე, რომელიც შესათანხმებლად წარედგინება დირექტორს. დირექტორის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პროგრამა თანდართული დოკუმენტებით წარედგინება დაწესებულების სამეთვალყურეო საბჭოს. ხოლო მეორე დოკუმენტი დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 18 მარტის N03-09 ბრძანებით დამტკიცებულია **„სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამატების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი“**, რომლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი, 2019)

მიხედვით: ახალი პროგრამის დამატების ინიციატორი შეიძლება იყოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, დამსაქმებელი, დარგობრივი ასოციაცია, საინიციატივო ჯგუფი, სხვა დაინტერესებული პირი. ახალი პროგრამის დამატების შესახებ დასაბუთებული ინიცირება ხდება წერილობითი ფორმით. პროგრამის შემუშავების მიზნით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო დარგში დირექტორის მოადგილე, სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი, შესაბამისი მიმართულების სპეციალისტები და შესაბამისი დარგის მასწავლებლები. შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი შეფასების მიზნით წარედგინება კოლეჯის დირექტორს. პროექტის უარყოფითი შეფასების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარვეზების გამოსწორების მიზნით, უბრუნდება პროგრმის შემმუშავებელ სამუშაო ჯგუფს. ხარვეზების გასწორების შემდეგ პროგრამის პროექტი თავიდან წარედგინება კოლეჯის დირექტორს, რომელიც აფასებს პროგრამის კორექტირებულ ვარიანტს. დადებითი შეფასების შემთხვევაში, შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მტკიცდება **კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.**

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულების ორ სხვადასხვა შიდა მარეგულირებელ აქტში ერთი და იგივე საკითხი დარეგულირებულია სხვადასხვა მიდგომით.

ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა დაწესებულების მიერ ზემოაღნიშნული პროცედურების შესრულებასთან დაკავშირებით და გამოთხოვილ იქნა იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და დამტკიცების პროცედურების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს დაწესებულებას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი** შემუშავდა იმ მარეგულირებლის მიხედვით (**სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის** მე-11 მუხლი), რომელშიც არ არის გაწერილი სამუშაო ჯგუფის შექმნის შექმნის ვალდებულება. პროგრამის ადაპტირება განახორციელა ხარისხის მართვის უზრუნველყოფის სამსახურმა, მასწავლებელთა ჩართულობით და დირექტორთან შეთანხმებით, დასამტკიცებლად წარუდგინა უფლებამოსილ ორგანოს. თუმცა არ შეუქმნით არც ერთი დოკუმენტი, რაშიც იქნებოდა ასახული პროგრამის შემუშავების/ადაპტირების პროცედურა (მაგ.სამუშაო შეხვედრების ოქმები, სამსახურეობრივი ბარათები და სხვა).

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან, რის შედეგადაც დადგინდა:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი

საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №04 ოქმით. დაწესებულებას სურს პროგრამა განახორციელოს კოლეჯში სწავლების (მოდულური) მიდგომით. საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სასწავლო გეგმაში პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვა არ ცდება კანონმდებლობით დადგენილ 40 საათიან დატვირთვას. მოდულების დაგეგმვისას გათვალისწინებულია დაშვების წინაპირობები. თუმცა, ქართული ენის მოდულები წარმოდგენილია ძველი რედაქციით, რაც საჭიროებს განახლებას. აღნიშნულ მოდულებში ბოლო ცვლილება განხორციელდა 2017 წლის 2 ნოემბერს.

დირექტორის 2019 წლის 18 მარტის №03-08 ბრძანებით დამტკიცებული **სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის** მე-13 მუხლის მიხედვით: განმსაზღვრელი შეფასებისას პროფესიულ სტუდენტს, რომლის შემდგომ მოდულზე დაშვების წინაპირობაა წინა მოდულის დაძლევა, უფლება აქვს თითოეულ მოდულზე სწავლის შედეგის დაუდასტურებლობის ან/და გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მოდულის დასრულებიდან მომდევნო შაბათ დღეს, ერთჯერადად ისარგებლოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებით შეფასებაზე გასვლის უფლებით. ხოლო ამ ვადაში სწავლის შედეგების დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში მას შეუწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში დაცულია სწავლის შედეგების გადაბარების შესაძლებლობა.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობაა:

ა) ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - მოცულობა - 115 კრედიტი, სავარაუდო ხანგრძლივობა - 21 სასწავლო თვე.

ბ) არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - მოცულობა - 145კრედიტი, სავარაუდო ხანგრძლივობა - 26 სასწავლო თვე.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის, ასეთ პირთა ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით მოდულებზე მათი დაშვება მოხდება მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტმა კვალიფიკაციის მისანიჭებლად უნდა დააგროვოს ჯამურად 115 კრედიტი, რომელთაგან 15 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, 80 კრედიტი - პროფესიული მოდულები, ხოლო 20 კრედიტი - არჩევითი მოდულები. **ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორის** საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით კვალიფიკაციის მისანიჭებლად განსაზღვრულია 95 კრედიტი. ამავე დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულებას უფლება აქვს 20%-ის ფარგლებში შესთავაზოს პროფესიულ სტუდენტს არჩევითი მოდულები, რის საფუძველზეც დაწესებულებას შერჩეული აქვს 4 მოდული, ჯამური 20 კრედიტის ოდენობით. დაწესებულების მიერ შერჩეული არჩევითი მოდულების ჯამური მოცულობა აჭარბებს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ მაჩვენებლებს 20%/95=21%).

საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის დაწესებულებას გაზეთ „ლელოს“ რედაქციასთან 2014 წლის 1 აგვისტოს გაფორმებული აქვს მემორანდუმი. მემორანდუმის მიზანია პრაქტიკის ობიექტის მხრიდან კოლეჯის სტუდენტების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი, 2019)

პრაქტიკის ჩატარების უზრუნველყოფა 2014-2020 წლების განმავლობაში. მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობის ხანგრძლივობის ვადის გაგრძელების თაობაზე 2019 წლის 15 მარტს გაფორმებულია შეთანხმება, რომლის მიხედვითაც თანამშრომლობის ვადა განისაზღვრა 2019-2021 საწავლო წლის დასრულებამდე. მემორანდუმში არ არის მოცემული კონკრეტულად რომელ მოდულს განახორციელებს დაწესებულება პრაქტიკის ობიექტზე, რამდენ პროფესიულ სტუდენტს მიიღებს ობიექტი და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების სხვა პირობები.

საგანმანათლებლო პროგრამის მოდულები ადაპტირებულია და მოიცავს მოდულის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაციას. თუმცა, ცალკეულ მოდულებში შეუვსებელია პერსონალის საკონტაქტო მონაცემების გრაფა და გამოყენებულია ისეთი ტერმინები, როგორიცაა „შუალედური გამოცდა," „დასკვნით გამოცდა". აღნიშნულთან დაკავშირებით, სასურველია დაწესებულების მიერ ადაპტირებულ მოდულებში გამოყენებული იქნეს მოდულური პროგრამების სწავლებისათვის განსაზღვრული ტერმინები კანონმდებლობის შესაბამისად. (იხ. მოდულები: გაცნობითი პრაქტიკა - ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი; საწარმოო პრაქტიკა - ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი).

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მექანიზმები დაწესებულებას გაწერილი აქვს „საწარმოო პრაქტიკის წესში", რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 18 მარტის №03-09 ბრძანებით. დოკუმენტში მოცემულია დებულებები საწარმოო პრაქტიკის მიზნის, ორგანიზების, საწარმოო პრაქტიკის მასწავლებლის (ხელმძღვანელი) პასუხისმგებლობების, საწარმოო პრაქტიკის განხორციელების კონტროლის, საწარმოო პრაქტიკის სწავლის შედეგების შეფასებისა და საწარმოო პრაქტიკის დღიურის წარმოების თაობაზე.

დაწესებულების მიერ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიდგომების გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი იქნა შესაბამისი ინფორმაცია/დოკუმენტაცია. დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანება პრაქტიკის ჩატარების თაობაზე და (ბრძანების სტრუქტურა არ შეესაბამებოდა საქმისწარმოების სტანდარტებს, დაშვებული იყო გრამატიკული შეცდომები), პროფესიული სტუდენტის მიერ შევსებული პრაქტიკის დღიური.

დაწესებულების სასწავლო პროცესის მართვის წესის მე-15 მუხლი არეგულირებს სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების მექანიზმებს. რომლის მიხედვითაც: კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტების ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს უზრუნველყოფას. საჭიროების შემთხვევაში სსსმ და შშმ პროფესიულ სტუდენტთა საგანმანათლებლო მხარდაჭერისა და სასწავლო პროცესში მათი სრულფასოვანი ჩართვის მიზნით, კოლეჯი უზრუნველყოფს საჭირო ადამიანური რესურსის (ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, სსსმ პირის ასისტენტი, ჟესტური ენის თარჯიმანი, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერი, გადაადგილებისს მხარდამჭერი, სპეციალური მომვლელი) მოძიებას და საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი, 2019)

პროცესში ჩართვას. სსსმ და შშმ პროფესიულ სტუდენტებისათვის კოლეჯი უზრუნველყოფს მათ ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობას შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობით (ექსპერტთა ჯგუფის მიერ ფაქტობრივი გარემოებების შემოწმების შედეგები იხ 2.7 ქვესტანდარტის აღწერაში).

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 18 მარტის N03-09 ბრძანებით დამტკიცებული **ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის** მე-2 პუნქტის მიხედვით, განსაზღვრულია კოლეჯის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურები (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) კონკრეტული მოდულის მოდიფიცირების (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივი ან რაოდენობრივი ცვლილება) ან აკომოდირების (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილება მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) გზით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული მოდულის საფუძველზე და წარმოადგენს მის დაზუსტებას სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისათვის და დასაშვებია იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რამდენ მოდულშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები. ამავე წესის მე-6 პუნქტის მიხედვით, პროფესიული განათლების მასწავლებელი მიმართავს კოლეჯის პროფესიული ინკლუზიური განათლების სპეციალისტს, ხარისხის მართვის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს სასწავლო პროცესზე დასწრება-დაკვირვების მიზნით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროების დადასტურების შემთხვევაში, ხარისხის მართვის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შესაბამისი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელთან და პროფესიული ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან ერთად გონივრულ ვადაში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და წარუდგენს დასამტკიცებლად დაწესებულების ხელმძღვანელს.

დაწესებულების წარმომადგენელთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ კოლეჯს არ ჰყოლია შშმ და სსსმ პროფესიული სტუდენტები.

დაწესებულების სასწავლო პროცესის მართვის წესის მე - 13 მუხლი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესს მოდულური პროგრამების შემთხვევაში. ხოლო ამავე წესის მე-16 მუხლში მოცემულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრების წესი. დაწესებულების მიერ განსაზღვრული დებულებები შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

დაწესებულების მიდგომების შეფასების მიზნით, ექსპერთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ იქნა ერთ-ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტები, მტკიცებულებები და შეფასების აღრიცხვის უწყისები. ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევით შეამოწმა შეფასების ინსტრუმენტების შესაბამისობა მოდულის სწავლის შედეგებთან. თეორულ კომპონენტში პროფესიული სტუდენტების შეფასებისთვის არ არის მოცემული შეფასების კრიტერიუმები, ხოლო პრაქტიკული კომპონენტის შეფასებისთვის მტკიცებულებად პროფესიული სტუდენტების მიერ წარმოდგენილია სტატიები, თუმცა შეფასების ინსტრუმენტებში არ არის მოცემული მათი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი, 2019)

შეფასების კრიტერიუმები. ცალკეულ შემთხვევაში, შეფასების მტკიცებულებას არ აქვს შემფასებლის ხელმოწერა. დაწესებულება არ აწარმოებს შეფასების უწყისების რეგისტრაციას.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ მასწავლებლებს. სულ ინტერვიურება განხორციელდა 7 მასწავლებელთან. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლები ახორციელებენ მოდულური მიდგომით სწავლებას, ნაკლებად იცნობდნენ მოდულური სწავლების მიდგომებს და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების პრინციპებს (პროფესიული განათლების ერთ-ერთმა მასწავლებელმა ინტერვიურებაში აღნიშნა, რომ სწავლების პროცესში იყენებს შუალედურ და დასკვნით გამოცდებს აკადემური პროგრამების მსგავსად).

დაწესებულების წარმომადგნელის განცხადებით, **ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორის** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტს დაწესებულება ახორციელებდა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ბაზაზე (პირველი არხი). მოცემულ პერიოდში ტელევიზიის რედაქციაში მიმდინარე რეორგანიზაციის გამო, ხელმძღვანელობა თავს იკავებს ოფიციალური შეთანხმებების გაფორმებისგან, თუმცა საჭიროების შემთხვევაში არხის რედაქცია მზადაა მიიღოს პროფესიული სტუდენტები. აღნიშნულის გამო კოლეჯმა პრაქტიკის ობიექტად განსაზღვრა გაზეთი „ლელო“-ს რედაქცია.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა პრაქტიკის ობიექტი - გაზეთი „ლელო“-ს რედაქცია. განხორციელდა ინტერვიუ რედაქციის დირექტორთან, რომელმაც განაცხადა, რომ ობიექტზე პროფესიულ სტუდენტთა კონსულტირებას თავად განახორციელებს და პროფესიული სტუდენტები დააკვირდებიან ოპერატორების მუშაობას, შემდეგი მიმართულებით: გაზეთის გვერდების აწყობა, დაკაბადონება, დაარქივება, ბეჭდვისთვის მომზადება და სხვა. ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა საწარმოო პრაქტიკის მოდულის შინაარსთან შესაბამისობით სასწავლო პროცესისა და შეფასების განხორციელების თაობაზე. პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელი არ იცნობდა მოდულს, მოდულის განხორციელების მიდგომებსა და შეფასების პრინციპებს. აღნიშნულის გამო, სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთა მეტი ინფორმირება პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიდგომებთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით რეკომენდებულია:

1. დაწესებულებაში კონკრეტული საკითხი/პროცედურა განისაზღვროს ერთი მარეგულირებელი აქტით, ხოლო ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში, ყველა შიდა მარეგულირებელ აქტებში ერთიდაიგივე საკითხი ჩამოყალიბდეს ერთნაირი შინაარსით;

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ მემორანდუმში მიეთითოს, კონკრეტულად რომელ მოდულ(ებ)ს განახორციელებს დაწესებულება პრაქტიკის ობიექტზე, რამდენ პროფესიულ სტუდენტს მიიღებს ობიექტი და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების სხვა პირობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი, 2019)

3. დაწესებულებამ მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის გამოიყენოს სისტემის შესაბამისი ტერმინები კანონმდებლობის შესაბამისად, ნაცვლად ისეთი ტერმინებისა, როგორიცაა „შუალედური გამოცდა," „დასკვნით გამოცდა". (იხ. მოდულები: გაცნობითი პრაქტიკა - ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი; საწარმოო პრაქტიკა - ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი);

4. დაწესებულებამ განახორციელოს მოდულის განმახორციელებელი პირების გადამზადების ღონისძიებები კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების განხორციელების მიმართულებით;

5. დაწესებულებამ აწარმოოს პროფესიულ სტუდენტთა შეფასებების უწყისების რეგისტრაცია;

6. დაწესებულებამ გაზარდოს თანამშრომლობის მიმართულებები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართულ პრაქტიკის ობიექტებთან და უზრუნველყოს ობიექტის წარმომადგენელთა ინფორმირება მოდულური სწავლების მიდგომებებთან მიმართებით.

<u>ხარვეზი:</u>

1. ვინაიდან დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - <u>ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორის</u> არჩევითი მოდულების საერთო მოცულობა (21%) აჭარბებს ამავე პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით დადგენილ ოდენობას - 20%-ს, დარღვეულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი;

2. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში - <u>ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი</u> ქართული ენის მოდულები არის 2016 წლის 7 მარტის რედაქციით, აღნიშნულ მოდულებში ბოლო ცვლილება განხორციელდა 2017 წლის 2 ნოემბერს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამაში არ არის განხორციელებული ცვლილებები. რის საფუძველზეც დარღვეულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების/ცვლილებების განხორციელების წესი.

<u>დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):</u>

1. დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 2 ოქტომბრის № 04 სხდომის ოქმით დამტკიცებული **შინაგანაწესი;**
2. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 18 მარტის №03-08 ბრძანებით დამტკიცებული **სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;**
3. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 18 მარტის N03-09 ბრძანებით დამტკიცებულია **„სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამატების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი";**
4. კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №04 ოქმით დამტკიცებული **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი, 2019)

5. კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №04 ოქმი, პროფესიული საგანმანათლელო პროგრამის დამტკიცების თაობაზე;
6. 2014 წლის 1 აგვისტოს გაზეთ „ლელოს“ რედაქციასთან გაფორმებული მემორანდუმი პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების თაობაზე;
7. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 18 მარტის №03-09 ბრძანებით დამტკიცებული „საწარმოო პრაქტიკის წესი“;
8. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 18 მარტის N03-09 ბრძანებით დამტკიცებული **ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი.**

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი (2019), რომელშიც მოცემულია: დაწესებულების ისტორია, კოლეჯის მისია, კოლეჯის ხედვა, ღირებულებები, საკონტაქტო ინფორმაცია, ასევე იმ საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია, რომელთა განხორციელების უფლებაც აქვს დაწესებულებას, კერძოდ: პროგრამის დასახელება, დაშვების წინაპირობები, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, მიზანი, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებისა და კრედიტების მინიჭების წესი, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების პირობები და დებულებები შშმ და სსსმ პირების სწავლებისათვის.

კატალოგი თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე, სადაც ასევე მოცემულია კატალოგების არქივი (2016 წელი, 2017 წელი, 2018 წელი).

<u>**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**</u>

1. კატალოგი (2019, 2018, 2017, 2016);
2. www.sportcolle.ge

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი, 2019)

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი“ სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმეტებთან, რაც დადგინდა საგანმანათლებლო პროგრამების შედარებით „ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორის“ ჩარჩო დოკუმენტთან, რომელიც დამტკიცებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის დირექტირის 2017 წლის 13 ოქტომბრის N656 ბრძანებით. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო კოდია 03201-პ, ჩარჩო დოკუმენტის გაუქმების თარიღია 2019 წლის 31 დეკემბერი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №04 ოქმით დამტკიცებული **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი;**
2. ჩარჩო დოკუმენტი - „ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი, 2019)

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 18 მარტის №03-08 ბრძანებით დამტკიცებული **სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის** II თავი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შეჩერების, შეწყვეტისა და აღდგენის პროცედურებს. **სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის** მე-2 მუხლში გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურები, აპლიკანტთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა. წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, დაწესებულების დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ და გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს - ბრძანებას. რის შემდეგაც, პროფესიულ სტუდნტთან ფორმდება ხელშეკრულება. თუ პროფესიული სტუდენტი არასრულწლოვანია, ხელშეკრულება ფორმდება მის კანონიერ წარმომადგენელთან. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების თაობაზე კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტის - ბრძანების გამოცემიდან 5 დღის ვადაში მონაცემები აისახება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 18 მარტის №03-08 ბრძანებით დამტკიცებული **სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის** მე-3 მუხლი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების გარემოებებს, რომლის მიხედვითაც: პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების გარემოებებად განსაზღვრულია ავადმყოფობა, ორსულობა, უცხო ქვეყანაში წასვლა, ოჯახური მდგომარეობა, სამხედრო სამსახურში გაწვევა, პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება, ფინანსური დავალიანება და სხვა. რისთვისაც სტუდენტი უფლებამოსილია განცხადებით მიმართოს კოლეჯის დირექტორს, წარადგინოს გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტი და მოითხოვოს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება არაუმეტეს 1 სასწავლო წლის განმავლობაში.

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 18 მარტის №03-08 ბრძანებით დამტკიცებული **სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის** მე-4 მუხლში მოცემულია დებულებები პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც: პროფესიული სტუდენტი განცხადებით მიმართავს დაწესებულების დირექტორს სტატუსის აღდგენის მოთხოვნით. დაწესებულება ვალდებულია დააკმაყოფილოს პროფესიული სტუდენტის მოთხოვნა კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი, 2019)

დანართი 2

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 18 მარტის №03-08 ბრძანებით დამტკიცებული **სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის** მე-5 მუხლი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წესს, რომლის მიხედვით პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია: პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადის გასვლა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება, პირადი განცხადება, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიუღწევლობის შესაძლებლობა (რომელიც დაზუსტებულია შესაბამისი დებულებებით) და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევები. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე გამოიცემა დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტი - ბრძანება და 5 დღის ვადაში მონაცემები აისახება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 18 მარტის №03-08 ბრძანებით დამტკიცებული **სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის** მე-4 თავი არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა მობილობისა და არაფორმალური განათლების აღიარების პროცესს. ამავე წესის მე-8 მუხლის მიხედვით, მიღებული განათლების აღიარების მიზნით კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება კომისია. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 18 მარტის N 03-09 ბრძანებით დამტკიცებული **ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის** მე-7 მუხლის მიხედვით, ხარისხის მართვის სამსახურის უფროსისა და შესაბამისი პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ ხდება ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა თითოეული მოდულის ფარგლებში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით. ხარისხის მართვის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების შესაბამისობას დაწესებულების ანალოგიურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან, სტუდენტის მიერ გავლილი მოდულების აღიარების შესაძლებლობის საკითხს. შესაბამისი კომისიის სხდომის ოქმის გადაწყვეტილების საფუძველზე, ხარისხის მართვის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ამზადებს სამსახურებრივ ბარათს მობილობის მსურველის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების თაობაზე და დაწესებულების ხელმძღვანელს დასამტკიცებლად წარუდგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტს, რომელიც შემდგომში უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ შესაბამისი პროფესიული სტანდარტით დადგენილი ცოდნის, უნარებისა და ფასეულობების შეძენა.

ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმების მიზნით, დაწესებულების წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილ იქნა აქტიური, სტატუსშეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი, მათ შორის არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები. დაწესებულებას არ ჰყოლია უცხოეთში მიღებული განათლების მქონე პროფესიული სტუდენტები. წარმოდგენილი პირადი საქმეები საჭიროებს მოწესრიგებას, კერძოდ: პირად საქმეში არ იყო განთავსებული სტატუსის შეწყვეტის ან შეჩერების თაობაზე პროფესიულ სტუდენტთა პირადი განცხადებები, რომლებიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი, 2019)

მითითებულია დაწესებულების მიერ გამოცემული ბრძანებების საფუძვლებში; ზოგიერთ პირად საქმეში არ იყო განთავსებული პირადობის დამდასტურებელი მოწმობების ასლები, მოქალაქეთა განცხადებებში (რომლებიც ითხოვენ ამა თუ იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლას) განმცხადებელი მოხსენიებულია, როგორც ამავე კოლეჯის I კურსის სტუდენტი. არასრულწლოვანი პირის პირად საქმეში არ დევს კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და პროფესიული სტუდენტის დაბადების მოწმობის ასლები, თუმცა დოკუმენტებზე ხელი მოწერილი აქვს სხვა პირს, თუმცა ზემოაღნიშნული დოკუმენტების არარსებობს გამო, ვერ დგინდება ხელმომწერი პირის კანონიერი წარმომდგენლობის ფაქტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ინტერვიურებისას განაცხადა, რომ კოლეჯში არ განხორციელებულა მობილობის პროცესი და პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენისას არ შეუდგენიათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ვინაიდან საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულმა სტუდენტმა ზუსტად ერთი წლის შემდეგ მოითხოვა სტატუსის აღდგენა, არ დამდგარა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის აუცილებლობა, აღნიშნული ფაქტი განხორციელდა ერთხელ.

კოლეჯი აწარმოებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემას, სადაც ასახულია ინფორმაცია დაწესებულების, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის შესახებ. დაწესებულების შიდა მარეგულირებელ აქტებში გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემაში ინფორმაციის ასახვის ვადები, რაც შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბერის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებით განსაზღვრული ვადების დაცვის რეგულაციები. გამოთხოვილ იქნა მიმდინარე სასწავლო წელს განხორციელებული ჩარიცხვის პროცედურების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დაწესებულება იცავს კანონმდებლობის შესაბამის მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით რეკომენდებულია:

1. ***დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები აწარმოოს საქართველოს კანონმდებლობისა და კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 18მარტის N03-08 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-2 მუხლის შესაბამისად.***
2. ***დაწესებულებამ არასრულწლოვანი პირების პირად საქმეებში განათავსოს მათი კანონიერი წარმომადგენლების პირადობისა და კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (დაბადების მოწმობა, მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტი და სხვა).***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი, 2019)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 18 მარტის №03-08 ბრძანებით დამტკიცებული **სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;**
2. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 18 მარტის N03-09 ბრძანებით დამტკიცებული **ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;**
3. აქტიური, სტატუსშეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი, არასრულწლოვანი და უცხოეთში მიღებული განათლების მქონე პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები;
4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემა (**evet.emis.ge**).

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 18 მარტის N03-09 ბრძანებით დამტკიცებული **„სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამატების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესის“** მე-5 მუხლის მიხედვით: პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ სტანდარტში, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის მართვის მენეჯერს და პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელს. ცვლილების შესახებ უნდა შემუშავდეს წერილობითი მოხსენება, სადაც არგუმენტირებულად იქნება გაწერილი პროგრამაში შესატანი ცვლილებების საჭიროება. მოდულის ან მისი ნაწილის შეცვლის, მოდულის დამატების ან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი, 2019)

ამოღების შემთხვევაში გამოიცამა ახალი აქტი პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტს გამოსცემს კოლეჯის დირექტორი. პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში შესაბამის სამართლებრივ აქტში უნდა განისაზღვროს პროგრამის შესაბამისი მიღების ჯგუფები, რომლებზეც სამართლებრივი ან ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე გავრცელდება აღნიშნული ცვლილება. იმ შემთხვევაში თუ მოხდება პროგრამის განმახორციელებლების ცვლილება და ეს რაოდენობა 10% აღემატება. კოლეჯი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ აცნობოს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. ამავე წესის მე-6 მუხლის მიხედვით, არსებული პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს: პროფესიული სტანდარტის მოქმედების ვადის ამოწურვა; პროფესიულ პროგრამაზე სწავლის მსურველთა არარსებობის გამო კონკრეტულ პროგრამაზე სწავლის შეწყვეტა 2 წლის განმავლობაში; ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსის პროფესიული პროგრამის მოთხოვნებთან შეუსაბამობა; კონკრეტული პროფესიის კადრებზე შრომის ბაზარზე მოთხოვნის არარსებობა. არსებული პროგრამის გაუქმების მიზანშეწონილობის დადგენის მიზნით კოლეჯის

დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება კომისია არანაკლებ 5 წევრის შემადგენლობით. არსებული პროგრამის გაუქმების მიზანშეწონილობის დადგენის მიზნით შექმნილ კომისიაში აუცილებელ წევრად უნდა განისაზღვროს კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, სასწავლო პროცესის დარგში დირექტორის მოადგილე, სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი, დარგის სპეციალისტები და სხვ. კომისია განიხილავს არსებული პროგრამის გაუქმების მიზანშეწონილობას და კოლეჯის დირექტორს წარუდგენს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას პროგრამის გაუქმების ან გაუქმებაზე უარის თქმის შესახებ. არსებული პროგრამის გაუქმების შესახებ კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. არსებული პროგრამის გაუქმების შესახებ კოლეჯი წერილობით აცნობებს სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და მიმართავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში შესაბამისი ცვლილების შეტანის თხოვნით.

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 18 მარტის №03-08 ბრძანებით დამტკიცებული **სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის** მე-9 მუხლის მიხედვით: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვილებების შეტანის ან გაუქმების შემთვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს შემდეგი მექანიზმები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი, 2019)

- თუ დაწესებულებაში არსებობს გასაუქმებელი ან შესაცვლელი საგანმანათლებლო პროგრამის მონათესავე პროფესია, კოლეჯი ახდენს მის შეთვაზებას განსხვავებული დისციპლინების სწავლის საფასურისგან განთავისუფლების პირობით;

- იმ შემთხვევაში, თუ ზემოხსენებული გარემოება არ არსებობს, დაწესებულება იღებს ვალდებულებას მოიძიოს და ითანამშრომლოს იმ საგანმანათლელო დაწესებულებასთან, რომელიც ახორციელებს იგივე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. აღნიშნულის თაობაზე მიაწვდის პროფესიულ სტუდენტს დეტალურ ინფორმაციას და დაეხმარება მობილობის პროცესის განხორციელებაში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი იღებს პროფესიული სტუდენტების ინფორმირების ვალდებულებას დაფინანსების წესის თაობაზე.

პროგრამაში ცვლილებების შეტანის ან და გაუქმების თაობაზე დაწესებულების მიდგომების გადამოწმების მიზნით, განხორციელდა ინტერვიურება პასუხისმგებელ პირთან და გამოთხოვილ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია. კოლეჯმა სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩარჩო დოკუმენტებში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე შეიტანა ცვლილება და წარმოადგინა სამეთვალყურეო საბჭოს საოქმო გადაწყვეტილება, საგანმანათლებლო პროგრამაში აღნიშნული ცვლილებების შეტანის თაობაზე.

ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში დაწესებულებას გაფორმებულლი აქვს მემორანდუმი სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივ კოლეჯთან 2022 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედების ვადით. თუმცა მემორანდუმი ზოგადი ხასიათისაა და მასში არ არის მოცემული ჩანაწერი პროფესიულ სტუდენტთა მობილობის თაობაზე. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა მეორე მემორანდუმი, რომელიც გაფორმებული სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან 2015 წლის 19 აგვისტოს (განახლებულია 2019 წლის 17 მაისს, მემორანდუმის ხანგრძლივობაა 2023 წლამდე). ექსპერტთა აზრით ამ ორი კოლეჯის ტერიტორიული მდებარეობის გამო, ყველა პროფესიული სტუდენტი ვერ შეძლებს ქ. ზუგდიდის ან ქ. სენაკის ბაზაზე სწავლის გაგრძლებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით რეკომენდებულია:

1. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულების მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი, 2019)

გაფორმებულ მემორანდუმში დაზუსტდეს თანამშრომლობის მიზანი და პროფესიულ სტუდენტთა მობილობის პროცედურები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დირექტორის 2019 წლის 18 მარტის N03-09 ბრძანებით დამტკიცებული **„სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამატების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი;**
2. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 18 მარტის №03-08 ბრძანებით დამტკიცებული **სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;**
3. საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმები.

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 18 მარტის N03-09 ბრძანებით დამტკიცებულია **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი,** რომელშიც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების კომპონენტები და მექანიზმები, კერძოდ: პროგრამის აქტუალობის დასაბუთება, გამოყენებული მასალა, ლიტერატურა, სწავლების მეთოდები, ცოდნის შეფასების სისტემა, შიდა შეფასება (თვითშეფასება) - მექანიზმები და განხორციელების წესი, არე შეფასება - მექანიზმები და განხორციელების წესი, პროფესიული მასწავლებლის შეფასება, პროფესიულ სტუდენტთა შეფასება, მოდულური პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის მექანიზმები, პროგრამის ხანგრძლივობა, განხორციელების პირობები, ადამიანური რესურსების შეფასება, შეფასებისას გამოყენებული წყაროები. დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით გამოიყენება შემდეგი კითხვარები: პროფესიული სტუდენტის კითხვარი; პროფესიული მასწავლებლის კითხვარი; დამსაქმებლის კითხვარი; კურსდამთავრებულის კითხვარი; საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარი; პროფესიული მასწავლებლის საქმიანობის შეფასების კითხვარი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(ქ. თბილისი, 2019)

დანართი 2

დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი არის ხარისხის უზრუნველყოფის მართვის მენეჯერი, რომელიც კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად: უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის მაღალ დონეს. კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვისა და საქმიანობის დაგეგმვას, განხორციელებასა და შეფასებას; ახორციელებს სასწავლო პროცესის სისტემურ შეფასებას და სწავლა/სწავლების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვასა და განხორციელებას; ნერგავს და მართავს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების შიდა სისტემას: უზრუნველყოფს სტუდენტების სასწავლო პროცესის შეფასების პროცესში ჩართულობას და კოლეჯის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას. ხარისხის მართვის მენეჯერი მუშაობაში იყენებს სწავლების ხარისხის შეფასების ციკლს - დაგეგმე; განახოციელე; შეამოწმე; განავითარე.

ხარისხის მართვის მენეჯერი მუშაობისას ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის სამსახურის დებულებას. ხარისხის ციკლის დასრულებისას მენეჯერი შეიმუშავებს შეფასების ანალიზის დოკუმენტს და გასცემს რეკომენდაციების დაწესებულების შიდა პროცესების სრულყოფის მიმართულებით.

ფაქტობრივი გარემოების გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორხიელდა ინტერვიურება ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელ პირთან და გამოთხოვილ იქნა შესაბამსისი დოკუმენტაცია. დაწესებულების დირექტორის 2016 წლის 25 მაისის №01-07 ბრძანებით შექმნილია შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან როგორც ხარისხის მართვის სამსახური უფროსი და ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლები, ისე პროგრამის ხელმძღვანელი და მასწავლებლები. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ფუნქცია, მიზნები და ამოცანები (თუმცა არ აქვთ დამტკიცებული). შიდა მხარდაჭერის ჯგუფი ადგენს მეცადინეობებზე დასწრების განრიგს და აკენეთებს ანალიზს მეცადინეობებზე მიმდინარე პროცესების შესახებ. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მუშაობის შედეგები ფორმდება საოქმო გადაწყვეტილებით, რომელსაც ხელს აწერს ჯგუფის ყველა წევრი. სამუშაო ჯგუფი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვებს. გამოკითხვის შედეგების ანალიზი და ჯგუფის რეკომენდაციები მიეწოდება ადმინისტრაციას. რეკომენდაციების საფუძველზე მასწავლებლებს ჩაუტარდათ ტრენინგი.

ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა წარმოადგინა სამსახურის წლიური გეგმის შესრულების ანგარიშები, სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების მიერ განხორციელებული აქტივობების თობაზე და მოცემულია არგუმენტები იმ ქტივობებზე, რომელთა განხორციელებაც ვერ მოხერხდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი, 2019)

<u>დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):</u>

1. 2019 წლის 18 მარტის N03-09 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი;
2. ხარისხის მართვის სამსახურის დებულება.

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯი მდებარეობს ოთხსართულიანი შენობის მესამე სართულზე, მისამართზე: ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირი №49. მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების მესაკუთრეა სახელმწიფო. 2019 წლის 31 მაისს გაფორმებულია უძრავი ნივთის თხოვების უსასყიდლო ხელშეკრულება 6 წლის ვადით. რომლის საფუძველზეც კოლეჯს სარგებლობის უფლებით, მისი ფუნქციონირების ვადით გადაცემული აქვს მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა 835 კვ.მ-ის ოდენობით.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №49	835, 0

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი, 2019)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. მონაწერი საჯარო რეესტრიდან - [redacted]
2. იჯარის ხელშეკრულება; შეთანხმება;

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების სასწავლო მიზნებისათვის გამოყოფილი აქვს 12 კომპიუტერი 2 კომბაინი და 2 პროექტორი. კოლეჯს გააჩნია ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ყველა ტიპის სასწავლო გარემო, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. დეტალურად იხილეთ სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობის ცხრილი.

სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობა

№	საგანმანათლებლო პროგრამა	პროგრამის ხანგრძლივობა	პროგრამის მოცულობა		სასწავლო გარემო		სასწავლო გარემოს შესაბამისი აღჭურვილობა (მაგადა, სკამი, კომპიუტერული ტექნიკა და სხვა)	ქვოტა
			კრედიტი	საათი	მოდელი A, B, C	აუდიტორიის №		
1	ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი	2	115	2875	AC	312	სტუდენტის სკამი/მაგიდა - 33 ადგილი, მასწავლებლის მაგიდა/სკამი - 1; კომპიუტერი (ლეპტოპი) –1; დაფა - 1 C გარემოს აღჭურვილობა: დიქტოფონი, ხელის კამერა, მიკროფონი, შტატივი, ფლიპკამერა, მოფილური სმარტფონი	21
					B	13	სტუდენტის სკამი/მაგიდა - 9; სტუდენტის კომპიუტერი (კომპლექტი) – 9; მასწავლებლის მაგიდა/სკამი - 1; კომპიუტერი (კომპლექტი) –1; მონიტორი - 1; დაფა - 1; კომბაინი - 1. კომპიუტერტებში ჩატვირთულია ფოტო და ვიდეო სამონტაჟო პროგრამები "Adobe Premier"-ი და „Adobe PhotoShop"	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქ. თბილისი, 2019)

<u>**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**</u>

1. ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სასაქონლო ზედნადებები, მიღება-ჩაბარების აქტები);
2. საგანმანათლებლო პროგრამის - „ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი;
3. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯი განთავსებულია სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის“ მესამე სართულზე. შესაბამისად, უნივერსიტეტი არის თელასის, სს „თელასისა“ და შპს „ყანსტრანსგაზ-თბილისი“-ს აბონენტი. კოლეჯი უნივერსიტეტთან აფორმებს შედარების აქტს და იხდის ყოველთვიურად გადასახდს. დაწესებულებაში არის ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ყველა აუდიტორია და ოთახი უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. დაწესებულებაში უზრუნველყოფილია უწყვეტი წყალმომარაგება. კოლეჯი არის GWP-ს აბონენტი [redacted] კოლეჯში მესამე სართულზე განთავსებულია სველი წერტილები, რომლებიც გამიჯნულია ქალებისა და მამაკაცებისათვის. კოლეჯში არსებული სველი წერტილები ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

დაწესებულებაში ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემა.

<u>**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(ქ. თბილისი, 2019)

1. კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრები;
2. სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან“ გაფორმებული ყოველთვიური შედარების აქტები;
3. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი მოდულების შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი სრულადაა წარმოდგენილი კოლეჯის ბიბლიოთეკაში. საგანმანათლებლო რესურსის ნაწილი ელექტრონულ ფორმატშია, რომლებიც ჩაწერილია CD დისკებზე და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. საბიბლიოთეკო ფონდი აღრიცხულია ბეჭდურ კატალოგში. წიგნადი ფონდის კატალოგი განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე. ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში გაწევრიანებული კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის. ვინაიდან საგანმანათლებლო რესურსის დიდი ნაწილი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებია, სასურველია დაწესებულების პერსონალსა და სტუდენტებს წვდომა ჰქონდეთ საკანონმდებლო აქტების კოდიფიცირებულ ვერსიებთან. რისთვისაც, უმჯობესია დაწესებულებამ გააფორმოს ხელშეკრულება საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან და ბიბლიოთეკაში უზრუნველყოს სტუდენტთა და პერსონალის წვდომა ნორმატიულ რესურსებთან.

ბიბლიოთეკაში განთვასებულია 16 მაგიდა/სკამი და ინტერნეტის ქსელში ჩართული 2 კომპიუტერი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(ქ. თბილისი, 2019)

დანართი 2

დირექტორის 2019 წლის 18 მარტის N03-09 ბრძანებით დამტკიცებულია **„სსიპ- საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის ბიბილიოთეკის დებულება“,** სადაც განსაზღვრულია ბიბლიოთეკის ფუნქციონირების ძირითადი მიზნები და ამოცანები, ბიბლიოთეკის საქმიანობის ძირითადი პრინციპები და ფუნქციები, ბიბლიოთეკის პერსონალი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, ბიბლიოთეკაში გაწევრიანება, მკითხველის უფლებები და მოვალეობები, წიგნების გატანა და დაბრუნება, ელექტრონულ მატარებლებზე არსებული რესურსები, ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის, ჟურნალების, პერიოდიკისა და ელექტრონული რესურსების აღრიცხვის, დაცვისა და შევსების წესი.

დაწესებულებაში საბიბლიოთეკო საქმეს წარმართავს კვალიფიციური 1 პირი - ბიბლიოთეკარი, რომელთაც გავლილი აქვთ ტრენინგი საბიბლიოთეკო საქმიანობის მიმართულებით.

<u>**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**</u>

1. საგანმანათლებლო პროგრამა - ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი;
2. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი;
3. წიგნების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
4. CD დისკზე ჩატვირთული ელექტრონული სახელმძღვანელოები;
5. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 18 მარტის N03-09 ბრძანებით დამტკიცებულია **„სსიპ- საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის ბიბილიოთეკის დებულება“**;
6. საბიბლიოთეკო საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირის პირადი საქმე;
7. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი, 2019)

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას საკუთრებაში აქვს 23 კომპიუტერი, აქედან საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოიყენება 12, ბიბლიოთეკაში განთავსებული 2 კომპიუტერი, ხოლო დაწესებულების მართვაში გამოიყენება - 9 კომპიუტერი.

დაწესებულება საგანმანათლებლო საქმიანობისთვის იყენებს - 2 პროექტორს, 5 ცალ კომბაინს.

კოლეჯი არის სს „სილქნეტის“ აბონენტი, რომელიც დაწესებულებას უზრუნველყოფს უწყვეტი სადენიანი და უსადენო ინტერნეტ კავშირით, რომელიც ხელმისაწვდომია, როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის.

კოლეჯის მართვის პროცესში გამოიყენება ოფიციალური ელექტრონული ფოსტა- sportgeocollege@gmail.com და ვებგვერდი - www.sportcolle.ge. კოლეჯი ჩართულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემაში.

ვებგვერდი დომენური სახელით - www.sportcolle.ge წარმოადგენს საინფორმაციო და საკომუნიკაციო წყაროს დაინტერესებული პირებისათვის. დაწესებულებას დომენური სახელით სარგებლობის თაობაზე 2018 წლის 31 ივლისს კომპანიასთან - შპს „SKILLERS“ გაფორმებული აქვს №18 ხელშეკრულება. დაწესებულებას მის მფლობელობაში არსებულ ტექნიკურ საშუალებებზე მონაცემების გათვსების, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ელემენტებთან დაშვებისა და პროგრამის სერვისულ მომსახურებათნა დაკავშირებით (ჰოსტინგი) შპს „კონექტთან“ 2018 წლის 24 დეკემბერს გაფორმებული აქვს №28 ხელშეკრულება.

<u>**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**</u>

1. კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
2. ვებგვერდი www.sportcolle.ge;
3. sportgeocollege@gmail.com
4. სს „სილქნეტთან“ გაფორმებული „ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების სააბონენტო ხელშეკრულება“ 26.12.2018;
5. კომპანიასთან - შპს „SKILLERS“ გაფორმებული 2018 წლის 31 ივლისის №18 ხელშეკრულება.
6. ვიზუალური დათვალიერება.
7. შპს „კონექტთან“ 2018 წლის 24 დეკემბერს გაფორმებული №28 ხელშეკრულება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი, 2019)

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 25 თებერვლის № 03-05 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის საქმისწარმოების ერთიანი წესი", რომელშიც მოცემულია: კოლეჯის დოკუმენტაციის სახეები, შემოსული დოკუმენტაციის სახეები და მათი რეგისტრაციის წესი, გასული დოკუმენტაციის ფორმირების და რეგისტრაციის წესი, შიდა დოკუმენტბრუნვის ორგანიზება, მმართველობითი ხასიათის დოკუმენტების მომზადება, მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების აღრიცხვა. დაწესებულება აწარმოებს გამოცემული აქტების, კორესპონდენციების, შემოსული და გასული წერილების აღრიცხვა-რეგისტრაციას შესაბამის ჟურნალებში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ საქმისწარმოების მიმდინარეობის გადამოწმების შედეგად, აღმოჩნდა:

- სარეგისტრაციო ჟურნალები დანომრილია, თუმცა არ არის დალუქული. ჟურნალში „სტუდენტთა ხელშეკრულებები" სასრუველია ჟურნალის სარეგისტრაციო ველების დასახელებები მოვიდეს შესაბამისობაში ჟურნალის დანიშნულებასთან, კერძოდ ჟურნალის ერთ-ერთი სარეგისტრაციო სვეტის დასახელებაა „აკადემიური თანამდებობა". ვინაიდან ჟურნალში გახსნილია სტუდენტთა ხელშეკრულებების რეგისტრაციისთვის, სვეტი „აკადემიური თანამდებობა" არათავსებადია. სასურველია მიეთითოს საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, რომლის შესახებ ინფორმაცია ასახული აქვთ შენიშვნის გრაფაში, ხოლო შენიშვნის გრაფა გამოყენებული იქნეს სხვა კერძო შემთხვევებზე ინფორმაციის დასაფიქსირებლად.
- ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალში ხორციელდება ადმინისტრაციული (გვ. 02-დან), საკადრო (გვ.20-დან), დებულებების, პროგრამების, განკარგულებების და აქტების (გვ 46 დან), მოხსენებითი ბარათების (გვ.60-დან), სხვა ოქმების (გვ.78-დან) რეგისტრაცია. ამასთან, სარეგისტრაციო ჩანაწერებს შორის დატოვებულია სივრცეები, სადაც ზოგიერთ შემთხვევაში ასოითი პრიმა აღნიშვნებით ჩამატებულია ჩანაწერები, მაგალითად: ბრძანებეის სარეგისტრაციო ჟურნალში გვ.27, ჩანაწერის ნუმერაცია იწყება 02-26-დან 03-35-მდე. №02-28-დან №02-29-მდე რეგისტრირებულია 2 ბრძანება №02-28ა და №02-28ბ. სასურველია დაწესებულებამ დოკუმენტების აღრიცხვისას უზრუნველყოს მათი სანდოობა.
- დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტის - ბრძანებაში, რითაც გათავისუფლებულია ერთი თანამშრომელი და დანიშნულია მეორე, ბრძანების საკონსტატაციო ნაწილში საფუძვლად მითითებულია „დასაქმებულის პირადი განცხადების საფუძველზე".

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი, 2019)

სასურველია სხვადასხვა შინაარსის, მათ შორის საკადრო ბრძანებები, გამოიცეს ცალ-ცალკე რედაქციით, ხოლო ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში, ბრძანების გამოცემის საფუძველში მიეთითოს ორივე პირის რეგისტრირებული განცხადებების რეკვიზიტები. (დანართი იხ.ბრძანება №02-38. 2019 წელი 4 ივნისი)

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით რეკომენდებულია:

1. დაწესებულების დოკუმენტების სარეგისტრაციო ჟურნალები დაილუქოს საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად;

2. სარეგისტრაციო ჟურნალში შესავსები ველების დასახელები შესაბამისობაში მოვიდეს იმ დოკუმენტების შინაართან, რომელთა რეგისტრაციისათვის არის განკუთვნილი მოცემული ჟურნალი;

3. დაწესებულებამ უზრუნველყოს დოკუმენტების აღრიცხვის სანდოობა, რისთვისაც დოკუმენტების რეგისტრაციისას გამოიყენოს ნუმერაციის უწყვეტი სისტემა და არ გამოყოვოს ჩანაწერებს შორის ადგილი;

4. დაწესეულებაში უფლებამოსილი პირის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი - ბრძანება გამოიცეს ერთ კონკრეტულ საკითხზე, ხოლო ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში, სრულად მიეთითოს ბრძანების გამოცემის საფუძველი.

<u>**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**</u>

1. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 25 თებერვლის № 03-05 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის საქმისწარმოების ერთიანი წესი“
2. სარეგისტრაციო ჟურნალები
3. დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ გამოცემული შიდა სამართლებრივი აქტების გადამოწმება
4. ინტერვიურება იურისტთან და საქმიუსწარმოების სპეციალისტთან

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი, 2019)

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯი განთავსებულია სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის“ მესამე სართულზე. კოლეჯის ადმინისტრაციამ ინტერვიურებისას განაცხადა, რომ უნივერსიტეტს ჰყავს დაცვის 3 თანამშრომელი და შენობის გარე პერიმეტრი აღჭურვილია სათვალთვალო კამერით. უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს შენობის შიდა და გარე სრული პერიმეტრის უსაფრთხოება.

ა) შენობაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, რომლებიც ვარგისია ექსპლოატაციისათვის. დაცულია ცენცხლმაქრი საშუალებების გადამუხტვის ვადები.

ბ) დაწესებულებაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია სათანადო უწყებასთან შეთახმებული და დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული საევაკუაციო გეგმები. კოლეჯის დირექტორის ბრძნებით 2014 წლის 17 ივლისს შექმნილია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, შექმნილია საგანგებო შტაბი, რომლის შემადგენლობაში შედის ხანძარსაწინააღმდეგო ჯგუფი. დოკუმეტენში მოცემულია საგანგებო შტაბის შემადგენლობა, წევრთა ფუნქცია-მოვალეობები, ამოცანები. წარმოდგენილია სახელმძღვანელო საკანონმდებლო აქტების ჩაონათვალი, სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობის, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ნუსხა, საევაკუაციო სქემები.

გ) დაწესებულებას 2018 წლის 25 აგვისტოს გაფორმებული აქვს მემორანდუმი სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან.“ მემორანდუმის მიხედვით კოლეჯი უფლებამოსილია უსასყიდლოდ ისარგებლოს უნივერსიტეტში არსებული სამედიცინო კაბინეტითა და ექთნის მომსახურებით, იმ მოცულობითა და დატვირთვით რაც იქნება საჭირო კოლეჯის ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა სამედიცინო კაბინეტი და განხორციელდა ინტერვიურება ექთანთან. ექთანმა დაადასტურა თანამშრომლობა კოლეჯთან. კაბინეტში განთავსებული იყო პირველადი გადაუდებელი დახმარებისთვის საჭირო საშუალებები.

დ) დაწესებულების ტერიტორიაზე წესრიგის დაცვის მექანიზმები მოცემულია **საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის ეთიკის კოდექსში**. დოკუმენტში განსაზღვრულია პერსონალისა და სტუდენტების ქცევის ნორმები, გადაცდომად მიჩნევის საფუძვლები და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები. დოკუმენტის დებულებების დაცვაზე პასუხიმგებლობა ეკისრება კოლეჯში დასაქმებულ და კოლეჯის სერვისებით მოსარგებლე ყველა პირს.

დაწესებულებას ჰყავს წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი 1 პირი - უსაფრთხოების სპეციალისტი. პერსონალთან გაფორმებულია ხელშეკრულება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(ქ. თბილისი, 2019)

<u>დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):</u>

1. ხანძარსაწინააღმდეგო და საევაკუაციო გეგმები;
2. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის ეთიკის კოდექსში;
3. სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან.“ 2018 წლის 25 აგვისტოს გაფორმებული მემორანდუმი;
4. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
5. პერსონალის პირადი საქმე;
6. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შენობა, რომელშიც განთავსებულია კოლეჯი, აღჭურვილია პანდუსით და შშმ/სსსმ პირებს შეუძლიათ შენობის ფოიეში შესვლა. თუმცა, დაწესებულების მესამე სართულზე ეტლით მოსარგებლე პირი ვერ მოახერხებს გადაადგილებას, ვინაიდან კიბეებზე პანდუსები დამონტაჟებული არ არის. დაწესებულების წარმომადგენელმა ინტერვიურებისას განაცხადა, რომ მათ ჰქონდათ ხის პანდუსები, თუმცა ლიფტის მონტაჟთან დაკავშირებული მოლაპარაკებების გამო განხორციელდა მათი დემონტაჟი. კოლეჯი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი და დირექტორი სახელმწიფო უწყებასთან აწარმოებს მოლაპარაკებას ორი მიმართულებით, მათ შორის: თუ კოლეჯი დარჩება იმ შენობაში, სადაც ის განთავსებულია ამჟამად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ლიფტის მშენებლობა, ან კოლეჯი გადავიდეს სხვა შენობაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(ქ. თბილისი, 2019)

დაწესებულების მესამე სართულზე შშმ/სსსმ პირებისათვის ადაპტირებულია სველი წერტილები. დაწესებულების არ ჰყავს იდენტიფიცირებული შშმ/სსსმ პროფესიულ სტუდენტთა დახმარების ხელშეწყობაზე პასუხისმგებელი პირი. ინტერვიურებისას ადმინისტრაციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თუ ასეთი პირი ეყოლებათ, დირექტორი ბრძანებით უზრუნველყოფს პირსთვის მხარდაჭერაზე პასუხისმგელებლი თანამშრომლის გამოყოფას და დაწესებულების ყველა სერვისის ხელმისაწვდომობას.

ხარვეზი:

1. ვინაიდან დაწესებულების ფუქციონირების ტერიტორიაზე (შენობის მესამე სართულზე) ეტლით მოსარგებლე პირი ვერ მოახერხებს გადაადგილებას, კიბეებზე პანდუსების არარსებობის გამო, დაწესებულებას არ აქვს შშმ და სსსმ პირების გადაადგილებისათვის ადაპტირებული გარემო.

<u>**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**</u>

1. ვიზუალური დათვალიერება;
2. ინტერვიურება.

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

■ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის ვებ-გვერდია www.sportcolle.ge, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. ვებგვერდზე განთავსებულია დაწესებულების შესახებ შემდეგი ინფორმაცია: სიახლეები, მისია და ხედვა, სტრუქტურა, დაწესებულების სამართლებრივი აქტები, საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, ბიბლიოთეკის დებულება, საგნმანათლებლო რესურსების ელექტრონული კატალოგი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინფორმაცია მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის შესახებ, კოლეჯის განვითარების გეგმები, საკონტაქტო ინფორმაცია, ფოტო გალერეა და სხვა.

ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია რეგულარულად განახლებადია და დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ვებ-გვერდი www.sportcolle.ge;
2. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 24 აპრილის N03-11 ბრძანებით დამტკიცებულია „ სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2019-2024წწ.). სტრატეგიული გეგმა გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან და ითვალისწინებს ინსტიტუციური, მატერიალური და ადამიანური რესურსის განვითარების, მოდულური პროგრამების დანერგვა და განვითარების, პროფესიული განათლების განმახორციელებელ დაწესებულებებთან და დამსაქმებლებთან თანამშრომლობის განვითარებისათვის მიმართულ ღონისძიებებს. სტრატეგიულ გეგმაში მოცემულია შემდეგი სტრატეგული ამოცანები: ფორმალური განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მოკლე ციკლის პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიულიგადამზადების პროგრამებისა და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობა, პერსონალის გადამზადება/ კვალიფიკაციის ამაღლება, დაგეგმილი სამშენებლო/სარემონტო სამუშაოები და ძირითადი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეძენა/განახლება, ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა; კოლეჯის ცნობადობის ამაღლება და სტუდენტების ჩართულობა სასწავლო პროცესში. დაწესებულების სამოქმედო გეგმების შემუშავება ეფუძნება SWOT ანალიზის შედეგებს და ითვალისწინებს კოლეჯის მენეჯმენტის ხედვებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი, 2019)

დანართი 2

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 24 აპრილის N03-11 ბრძანებით დამტკიცებულია **„სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა“,** რომელიც მოიცავს ისეთ აქტივობებს როგორიცაა: ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, დანერგვა და შემდგომი განვითარება; პროფესიული მომზადება/გადამზადების პრგრამებისა და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების შემუშავება, დანერგვა და შემდგომი განვითარება; მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის პროგრამის შემუშავება და დანერგვა; სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარება, კოლეჯის ადმინისტრაციისა და პროგრამების განმახორციელებლების საჭიროებების კვლევა, კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების განხორციელება, ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა. არსებულ შენობაში დაგეგმილი სარემონტო სამუშაოების შესრულება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეძენა/განახლება, ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, ახალი პროექტებში ჩართულობა, შრომის ბაზრის კვლევა და არაფორმალური განათლების აღიარება, პროფორიენტაციის ღონისძიებები და სპორტის კოლეჯის ცნობადობისა და პოპულარობის ამაღლება.

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 18მარტის N03-09 ბრძანებით დამტკიცებული აქვს **მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, მათში ცვლილებების შეტანის, დამტკიცებისა და გაზიარების მეთოდოლოგია. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი.** დოკუმენტის მე-4 მუხლში მოცემულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების თაობაზე დებულებები, კერძოდ: სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მიზნით დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, ხარისხის მართვის უზრუნველყოფის მენეჯერი და დირექტორის მოადგილე სპორტისა და კულტურის დარგში ამზადებენ ანგარიშებს შესრულებული სამუშაოს შესახებ. კოლეჯის დირექტორი განიხილავს წარდგენილ ანგარიშებს შესრულებული სამუშაოს სტრატეგიულ გეგმასთან შესაბამისობაში შემოწმების მიზნით. შემაჯამებელი ანგარიშების საფუძველზე კოლეჯის დირექტორი ადგენს წლიურ ანგარიშს. კოლეჯის დირექტორი აბარებს ყოველწლიურ ანგარიშს სამეთვალყურეო საბჭოს, კოლეჯის საგანმანათლებლო, ფინანსური და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შესახებ.

დაწესებულების მიერ შემუშავებულ მარეგულირებელ აქტში სასურველია დაზუსტდეს სტრატეგიული გეგმის გადახედვის პერიოდულობა.

დაწესებულება არ ადგენდა წლიური გეგმის შესრულების ანგარიშებს. აღნიშნული რეგულაცია დაწესებულების მიერ შემუშავებულია მიმდინარე წლის მარტის თვეში, ამიტომ კოლეჯის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ წლიური გეგმების შესრულების ანგარიშებს შეადგენენ წლის ბოლოდან.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, რეკომენდებულია:

1. დაწესებულების მიერ შემუშავებულ „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და ანგარიშგების წესში“ დაზუსტდეს სტრატეგიული გეგმის გადახედვის პერიოდულობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი, 2019)

<u>დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):</u>
1. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 24 აპრილის N03-11 ბრძანებით დამტკიცებულია „ სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2019-2024წწ.);
2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 24 აპრილის N03-11 ბრძანებით დამტკიცებულია **„სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა“**

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 18 მარტის N03-09 ბრძანებით დამტკიცებულია **„სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“,** რომელშიც განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის მიზნები და ამოცანები, ორგანიზაციული სტურუქტურა, კოლეჯის ადამიანური რესურსის შერჩევის წესი, შრომითი ხელშეკრულების გაფორმების პიროებები. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 18 მარტის N 03-09 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული განათლების მასწავლებლის, ადმინისტრაციისა და ტექნიკური/დამხმარე პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების, შერჩევისა და სამსახურში მიღების ერთიანი წესი“, სადაც განსაზღვრულია პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სამსახურში მიღების წესი და კანდიდატების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა.

ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისას დადგინდა, რომ პერსონალის პირადი საქმეები საჭიროებს გადახედვასა და განახლებას; დასაზუსტებელია საკვალიფიკაციო მოთხოვნები. პერსონალის ცალკეულ პირად საქმეში განთავსებულია ვადაგასული პირადობის მოწმობის ასლები, არ იძებნება სამუშაო გამოცდილების დამდასტურებელი დოკუმენტები იმ პირთა პირად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(ქ. თბილისი, 2019)

საქმეში, რომელთა თანამდებობაზე დანიშვნის წინაპირობასაც წარმოადგენდა (მაგ. საქმისწარმოების სპეციალისტი, უსაფრთხოების სამსახურის სპეციალისტი).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით რეკომენდებულია:

1. პერსონალის პირადი საქმეები მოიყვანოს შესაბამისობაში შიდა მარეგულირებელ აქტში არსებულ დებულებებში გაწერილ მოთხოვნებთან და მათში განათავსოს დასაქმებულ პირზე ყველა მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

2. გარკვეული პერიოდულობით გადაიხედოს და განაახლოს პერსონალის პირადი საქმეები, კერძოდ განახლდეს მოქმედების ვადაგასული პირადობის მოწმობები, CV-ები, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები (არსებობის შემთხვევაში).

<u>დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):</u>

1. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 18 მარტის N03-09 ბრძანებით დამტკიცებულია **„სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“;**
2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 18 მარტის N 03-09 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული განათლების მასწავლებლის, ადმინისტრაციისა და ტექნიკური/დამხმარე პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების, შერჩევისა და სამსახურში მიღების ერთიანი წესი“;
3. პერსონალის პირადი საქმეები.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 18 მარტის N 03-09 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული განათლების მასწავლებლის, ადმინისტრაციისა და ტექნიკური/დამხმარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი, 2019)

პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების, შერჩევისა და სამსახურში მიღების ერთიანი წესი“, სადაც განსაზღვრულია პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სამსახურში მიღების წესი და კანდიდატების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა.პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის განსაზღვრულია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები: ა) უმაღლესი განათლება შესაბამის სპეციალობაში ან/და პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაცია;ბ) მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება შესაბამის დარგში; გ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა; დ) ინტერნეტში მუშაობის გამოცდილება; ე) კომუნიკაბელობა და აზრის გამართულად გადმოცემის უნარი.

ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პროფესიული განათლების 12 მასწავლებელი. დაწესეულების მიერ **ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორის** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილია 21 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობა 21/12 შეადგენს 1.75-ს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი;**
2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 18 მარტის N 03-09 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული განათლების მასწავლებლის, ადმინისტრაციისა და ტექნიკური/დამხმარე პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების, შერჩევისა და სამსახურში მიღების ერთიანი წესი“;
3. პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები;
4. პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
5. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემა (**evet.emis.ge**).

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი, 2019)

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. კერძოდ, პერსონალის შერჩევის დროს დაწესებულება ხელმძღვანელობს კოლეჯის დირექტორის მიერ 2019 წლის 18 მარტის N 03-09 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული მასწავლებლების, პროფესიული განათლების მასწავლებლის, ადმინისტრაციისა და ტექნიკური/დამხმარე პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების, შერჩევისა და სამსახურში მიღების ერთიანი წესის“ შესაბამისად. გასაუბრების შედეგად შერჩეულ პირებთან დირექტორის მიერ დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“-ის მე-5 მუხლის შესაბამისად, ხდება ხელშეკრულებების გაფორმება. ამავე მუხლში დეტალურად გაწერილია პირად საქმეებში განსათავსებელი დოკუმენტების შესახებ მოთხოვნები. კოლეჯში მიღებულ დასაქმებულზე იხსნება პირადი საქმე, რომელშიც ინახება პროფესიული განათლების მასწავლებლის, ადმინისტრაციისა და ტექნიკური/დამხმარე პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების, შერჩევისა და სამსახურში მიღების ერთიანი წესით განსაზღვრული დოკუმენტები.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა დაწესებულების შიდა მარეგულირებელ აქტებთან პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეების შესაბამისობა. რის შედეგად გამოვლინდა:

- ცალკეულ პირად საქმეებში არსებულ პირადობის მოწმობებს ამოწურული აქვს მოქმედების ვადა. პირადი განცხადებები არ არის საქმისწარმოების წესით დამუშავებული (არ აქვს სარეგისტრაციო ნომერი, უფლებამოსილი პირის რეზოლიცია).
- წარმოდგენილ პირად მონაცემებში (CV) განსაახლებელია ინფორმაცია სამუშაო გამოცდილების და სამუშაო პოზიციის ბოლო დროინდელი მდგომარეობის აღწერით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით რეკომენდებულია:

1. პერსონალის პირადი საქმეები მოიყვანოს შესაბამისობაში შიდა მარეგულირებელ აქტში მოცემული დებულებების მოთხოვნებთან და მათში განათავსოს ყველა მოთხოვნილი დოკუმენტაცია;

2. დამუშავდეს პირადი საქმეები საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად, კერძოდ შესაბამის ჟურნალებში დარეგისტრირდეს პერსონალის განცხადებები, მათზე განთავსდეს უფლებამოსილი პირის რეზოლუციები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 18 მარტის N 03-09 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული განათლების მასწავლებლის, ადმინისტრაციისა და ტექნიკური/დამხმარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი, 2019)

პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების, შერჩევისა და სამსახურში მიღების ერთიანი წესი“;

2. პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები;
3. პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი, 2019)

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	**ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი**	მეოთხე საფეხური	ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია **070355**	115	145	ქართული	ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ.№49	9	21

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი, 2019)

ბ) ინფორმაცია მხოლოდ იმ პროგრამების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პრიოფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების აფეხური / დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)
1	მასაჟისტ-რეაბილიტატორი	მეხუთე	მასაჟისტ-რეაბილიტატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090656	114	144	ქართული	ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ.№49	23
2	მწვრთნელი (სახეობების დაკონკრეტებით)	მეოთხე	მწვრთნელის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 111251	120	---	ქართული	ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ.№49	220
3	მწვრთნელი (სახეობების დაკონკრეტებით)	მეოთხე	მწვრთნელის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 111251	120	---	ქართული	ქ. ქუთაისი, ბ. გაპოწოვის ქ. 11	52
4	სამთო გამყოლი	მეხუთე	სამთო გამყოლის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112059	120	---	ქართული	ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ.№49	14

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი, 2019)

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი
დანართი 2. სტუდენტთა ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალის დამოწმებული ასლი
დანართი 3. საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალის დამოწმებული ასლი
დანართი 4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისის ფორმა
დანართი 5. დაწესებულების დირექტორის ბრძანების (04.06.2019, №02-38) დამოწმებული ასლი
დანართი 6. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივ კოლეჯთან გაფორმებული მემორანდუმის დამოწმებული ასლი
დანართი 7. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის დამოწმებული ასლი

07.08.2019
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: Shorena Khubunaia

Digitally signed by Shorena Khubunaia
DN: cn=Shorena Khubunaia, serialNumber=39001009123, o=Citizen, c=GE
Date: 2019.08.07 15:40:11 +04'00'

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(ქ. თბილისი, 2019)